თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2938980

ნომერი: AR1453035

თარიღი : 01.11.2016

გაცემის თარიღი : 11.11.2016

გაცნობის თარიღი : 14.11.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 64 , (ნაკვეთი N 005/055) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა შუბითიძე პ/ნ 01011006586
- თბილისი ს.სპანდარიანის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.09.2016 წლის №2815101 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე უარის თქმის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 01/11/2016 წლის #AR1453035 განაცხადით მომართა ნანა შუბითიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 05.09.2016 წლის

№2815101 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 05.09.2016 წლის №2815101 ბრძანებით, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. №64-ში (ნაკვეთი №005/055), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს. კ. №01.12.01.005.097), შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, სავაჭრო, საოფისე) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 05 სექტემბრიდან 2018 წლის 05 მარტის ჩათვლით.
განმცხადებელი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე ითხოვს მშენებლობაზე აღმოჩენილი დარღვევის გამოსწორებას. ამასთან, მის მიერ წარმოდგენილია გეგმა-ნახაზები და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 14 სექტემბრის #16/240869 წერილი.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25-ე პრიმა მუხლის შესაბამისად, ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად გასცა რეკომენდაცია, რათა 120 კალენდარული დღის ვადაში გამოსწორებული ყოფილიყო აღმოჩენილი დარღვევები, კერძოდ -5.60 ნიშნულზე „დ-დ“ ღერძზე შეცვლილი კოლონების ფორმა. ამისათვის კი საჭიროა წარდგენილ იქნეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა.
შესაბამისად, აღნიშნული დარღვევის გამოსასწორებლად საჭიროა განაცხადი დაყენებულ იქნას კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, განცხადებაში მითითებული საკითხი განიხილოს, როგორც ტექნიკური ხარვეზი და გაასწოროს იგი.
შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. არ დაკმაყოფილდეს ნანა შუბითიძის 01/11/2016 წლის #AR1453035 განცხადება;
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.